ბროშურა ექიმებისთვის

არავინ იმსახურებს ძალადობას!

USAID
ამერიკელი ხალხისგან

PHR
პარტნიორობა ჯანმრთელობის უფლებებისთვის

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

არავინ იმსახურებს ძალადობას! ბროშურა ექიმებისთვის

დადგენილია, რომ მსოფლიოში, ყოველ მეოთხე ქალს, სიცოცხლეში ერთხელ მაინც, გამოუცდია ძალადობა.

ძალადობაგამოვლილი ქალის მხარდაჭერის პროცესში ექიმის როლი უმნიშვნელოვანესია. ხშირად, მხოლოდ ექიმებს ანდობენ პაციენტები ძალადობის ისტორიას, მარტო ექიმებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ძალადობის სხვისთვის უჩინარი და მათთვის ხილული კვალი, მხოლოდ ექიმი სარგებლობს იმ უდიდესი ნდობით, რომლითაც ის ძალადობის მსხვერპლს გადაარჩენს.

რას ნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობა?

კანონის თანახმად, ძალადობა ნიშნავს ქალის კონსტიტუციური უფლ–ებებისა და თავისუფლებების დარღვევას – უგულებელყოფით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.

რა ნიშნები შეიძლება მიუთითებდეს ქალთა მიმართ ძალადობაზე?

სხეულის სხვადასხვა ნაწილში არსებული მრავლობითი დაზიანებები, განსაკუთრებით, მკლავებზე და სახეზე, რომლებსაც ვერ ხსნის ან ახსნა შეუსაბამოა;

- სიმეტრიული დაზიანებები;
- ტანსაცმლით დაფარული დაზიანებები;
- პაციენტის შეშინებული ან დეპრესიული მდგომარეობა;
- განმეორებითი ვაგინალური სისხლდენა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები;
- მრავლობითი არასასურველი ორსულობა ან/და ორსულობის იძულებით შეწყვეტა;

- ცენტრალური ნერვული სისტემის პრობლემები – თავისტკივილი, კოგნიტური პრობლემები, სმენის დაქვეითება;
- ხშირი სამედიცინო კონსულტაციები მკაფიო დიაგნოზის გარეშე;
- ექიმთან დაგეგმილი ვიზიტის ხშირი გაცდენა;
- მკურნალობის კურსის დარღვევა;
- საავადმყოფოდან ნაადრევი გაწერა, საკუთარი სურვილით;
- დეპრესიის, შფოთვის, პოსტ–ტრავმული აშლილობის სიმპტომები;
- პაციენტი თავს არიდებს საუბარს, ჩანს დათრგუნული და შეშინებული პარტნიორის ან თანმხლები პირის თანდასწრებით;
- პარტნიორი არის აგრესიული, საუბრობს ქალის ნაცვლად და უარს ამბობს ოთახის დატოვებაზე.

ვინ შეიძლება იყოს მოძალადე ?

მოძალადე ხშირად ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც ძალადობა–გამოვლილი ქალები კარგად იცნობენ, მაგალითად:

- ოჯახის წევრი
- მეგობარი
- კოლეგა
- მეზობელი
- ან უბრალოდ ნაცნობი

ექიმის როლი ძალადობაგამოვლილი ქალის მხარდაჭერის პროცესში

- მნიშვნელოვანია, ძალადობაგამოვლილი ქალის ყურადღებით მოსმენა;
- მისგან ამომწურავი ინფორმაციის მიღება;
- განსჯისგან და ქალის მიმართ კრიტიკისგან თავის შეკავება;
- მისდამი ემოციური მხარდაჭერის გამოხატვა.

განსაკუთრებით მნიშნელოვანია:

- ინფორმაციის მიწოდება ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექა–

ნიზმებისა და სერვისების შესახებ;

- დახმარება მტკიცებულებების შეგროვებაში (დაზიანებების დაფიქსირება, დოკუმენტირება, მოწმეების შესახებ ინფორმაციის მონიშვნა და ა.შ.);
- ძალადობაგამოვლილი ქალისთვის რჩევის მიცემა – ძალადობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების შენახვის და მათი განადგურების თავიდან აცილების თაობაზე;
- მისი აზრის და პიროვნების პატივისცემა;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით კონფიდენციალობის დაცვა;
- მსხვერპლის უსაფრთხოების ზომების დაცვის ხელშეწყობა;
- რესურსების მოძიებაში დახმარების გაწევა;
- პერიოდულად, მისი მდგომარეობის შემოწმება და სხვა.

ვინ და როგორ დაეხმარება ძალადობაგამოვლილ ქალს?

- პოლიცია – იღებს შეტყობინებას ძალადობის შესახებ, იწყებს გამოძიებას, გამოსცემს ორდერს, უზრუნველყოფს მსხვერპლის უსაფრთხოებას და სხვა.
- სასამართლო – ამტკიცებს და გამოსცემს ორდერს, მსხვერპლის მოთხოვნის საფუძველზე განიხილავს ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს და სხვა.
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი – ანიჭებს ძალადობის მსხვერპლის სტატუსს იმ შემთხვევაში თუ ძალადობაგამოვლილ ქალს არ სურს მიმართოს პოლიციას.
- თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი – უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებელით, უფასო სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით და სხვა.
- არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ – უზრუნველყოფს გენდერული დისკრიმინაციისა და ოჯახში ძალადობის თემაზე უფასო იურიდიული დახმარებით.

სასარგებლო ინფორმაცია

ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი: 116 006

- გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზი: 112
- სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 1481 (24/7)

საქართველოს სახალხო დამცველი:

- ქ. თბილისი ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
  ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842
- ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

თბილისი 0193, ალექსიძის 1, კორპ. №2; ბ.26
ტელ: + 995 032 2 33 13 56; 593 737 003; 591 80 09 82
ელ-ფოსტა: phr.georgia@gmail.com

ბროშურის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)". ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ - დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

USAID ამერიკელი ხალხისგან

PHR პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)